საჯარო სამართლის იურიდიული პირი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 2/695

ქ. თელავი „05"„07"2018 წ.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის N 122/ნბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის, სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე და შტატგარეშე პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესის შესახებ დებულების (წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილება N26 14/03/2018 ოქმი N5), სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის სამსახურებრივი ბარათის (N 860798 04/07/2018წ.), სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის სამსახურებრივი ბარათის (N 860838 04/07/2018წ.) საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. გამოცხადდეს კონკურსი სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში შემდეგი ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად:
   ა) ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სპეციალისტი (კომპიუტერული ცენტრი), ადგილების რაოდენობა - 1;
   ბ)ჰუმანიტარულ მეცნიერებათ ფაკულტეტის სპეციალისტი (ლინგაფონის კაბინეტი), ადგილების რაოდენობა - 1.

2. ამ ბრძანების პირველ პუნქტის ა) ქვეპუნქტით გათვალისწინებული თანამდებობის მიმართ საკვალიფიკაციო მოთხოვნები დადგინდეს ამ ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად, ხოლო ამ ბრძანების პირველ პუნქტის ბ) ქვეპუნქტით გათვალისწინებული თანამდებობის მიმართ საკვალიფიკაციო მოთხოვნები დადგინდეს ამ ბრძანების დანართი N2-ის შესაბამისად;

3. ამ ბრძანების პირველი პუნქტის ა) და ბ) ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ თანამდებობებზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კანდიდატმა საკონკურსო დოკუმენტაციის სახით უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება კონკურსში მონაწილეობის მიღებაზე;

ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

გ) ავტობიოგრაფია ქართულ ენაზე (CV);

ე) 1) ამ ბრძანების პირველ პუნქტის ა) ქვეპუნქტით გათვალისწინებული თანამდებობისთვის - უმაღლესი ან პროფესიული განათლების დამადასტურებელი დიპლომი (საინფორმაციო ტექნოლოგიებში);

2) ამ ბრძანების პირველ პუნქტის ბ) ქვეპუნქტით გათვალისწინებული თანამდებობისთვის - უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომი (უცხო ენის (რუსული, ინგლისური, გერმანული და ა. შ.) მიმართულებით);

ვ) ცნობა სამუშაო ადგილიდან, სტაჟის მითითებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

4. კონკურსი ჩატარდეს 2 ეტაპად:

ა) საკონკურსო დოკუმენტაციის განხილვა;

ბ) გასაუბრება.

5. კონკურსში მონაწილეთა რეგისტრაცია დაიწყოს 2018 წლის 06 ივლისს და დასრულდეს 2018 წლის 13 ივლისს;

6. საბუთების მიღება განხორციელდეს უნივერსიტეტის კანცელარიაში, უნივერსიტეტის I კორპუსის II სართულზე № 43-ე ოთახში, შაბათ-კვირის გარდა, 10:00 საათიდან - 17:00 საათამდე;

7. წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციის განხილვა განხორციელდეს 2018 წლის 16 ივლისს;

8. კანდიდატის საკონკურსო კომისიასთან გასაუბრება ჩატარდეს 2018 წლის 18 ივლისს 11 საათზე;

9. ბრძანების ასლი გადაეცეს უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტებს;

10. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას (მ. ბეჟანიშვილი) ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის საინფორმაციო დაფაზე;

11. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს (ნ. კახაშვილი) ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე;

12. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

13. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ.თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი №41).

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი: /მზია ბაისურაძე/